



თავფავაძის  
მედლი

იღია ფორუმის სახელობის ექიმის უდინებელი  
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

# შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში

მარიამ გერსამია  
გაიოგ (გია) ჭავარიძე  
ნინო კალანდაძე  
გიორგი ხარებავა  
გიორგი ჭოხაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა  
და სამოქალაქო განათლების ცენტრი

## შიდაკარტიული დემოკრატია საქართველოში

თბილისი  
2020

## შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში

### Intra-party Democracy in Georgia

- © ა(ა)იპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი, 2020
- © ავტორები: მარიამ გერსამია, გაიოზ (გია) ჯაფარიძე,  
ნინო კალანდაძე, გიორგი ხარებავა, გიორგი ჯოხაძე, 2020

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

რეცენზიტი: დოქტ. დავით სიჭინავა

ტექსტის რედაქტორი: ქეთი ქურდოვანიძე

კვლევა მომზადდა საგრანტო პროექტის „საღი აზრი: სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკის პირისპირ“ ფარგლებში, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.



კვლევაში შეტანილი წვლილისთვის (ლიტერატურის მიმოხილვისა და საველე სამუშაოების ნაწილში) ცენტრი მადლობას უხდის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს: თამარ მუკნიაშვილს, ნათა მიხელიძეს, ეთერ მიდელაშვილსა და მარიამ კაჭკაჭაშვილს.

დამკაბადონებელი: ირინე სტროგანოვა

გარეკანის დიზაინერი: თამარ გარსევანიშვილი

## სარჩევი

ნიცასიტყვაობა ცენტრის სახელით .....	5
1. შესავალი: ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
2. კვლევის დიზაინი, მთოლოლობია და პროცედურები .....	25
3. ინტეგრირებული ანალიზი და შედეგები .....	30
3.1. შიდაპარტიული დემოკრატიის ინდექსი და კომპონენტები .....	32
3.1.1. ინფორმირებულობა შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ .....	35
3.1.2. სისტემის გამჭვირვალობა.....	41
3.1.3. ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ჩართულობა.....	44
3.1.4. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ....	47
4. დასკვნა და რეკომენდაციები .....	50
გიბლიოგრაფია.....	53



## ახლა ამის დროა! შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში

„გლეხი კაცისთვინ არავინაა.“

„30 წელია ერთ წრეზე დავდივართ!“

„იმანაც რა ქნას?!“

„რაღაცა იქნება!“

თქვენი არ ვიცი და მე ძალიან მიჭირს ამ დაზეპირებული, რეალური შინაარსისგან დაცლილი, შემგუებლური ფრაზების სმენა. რა იქნება? როდის? რაც მთავარია, როგორ? რას ვაკეთებთ, რომ საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ და ერთსა და იმავე ხაფანგში მეასედ არ გავებათ? იმისთვის, რომ ჩვენი გარემო გაუმჯობესდეს? რომ შრომის ეთიკა ნორდიკული გვექნდეს და არა წინააზიური, რომ თავისუფლება ჩვენს ბუნებრივ მდგომარეობად იქცეს და მუდამ ვიღაცის წყალობად არ საღდებოდეს, ცოდნა და ხელობა ფასდებოდეს, კანონმორჩილება – სიქველედ, კორუფცია კი სამარცხვინოდ მიიჩნეოდეს? როგორც წესი, მხოლოდ ისტორიულ უბედობას ვტირით და სხვის იმედად ვართ: სულხან-საბას ეპოქაში – საფრანგეთის (საძაგელი ლუი XIV!), ერეკლე მეორის ხელმწიფებისას – „ერთმორწმუნე“ რუსეთის (როგორ გვიღალატა ტოტლებენმა?!), პირველი რესპუბლიკის დროს – გერმანიის (იმათაც მეტი რა ექნათ?), ამჟამად კი – ამერიკის ან ყოვლის-

შემძლე ლიდერის, რომელიც ჩამოვა და გვიხსნის (ან უკვე აქაა და სხვას არ გააჭაჭანებს). მაგრამ რამდენი ჩვენგანი აცნობიერებს საკუთარ როლსა და მნიშვნელობას საზოგადო ცხოვრებაში? რამდენი ხვდება, თუ რამხელა მოქალაქეობრივ რესურსს ატარებს მძინარე ფორმით? რესურსს, რომლის ამოქმედებას წინ ოდენ ბულინგის შიში უდგას? არის ასევე ისტორიული შიში იმისა, რომ როგორც კი ადამიანი ინყებს კითხვების დასმას, მას უამრავი მტერი უჩნდება: ზოგი – სრულიად ალალი და უანგაროდ მავნე, ზოგიც – სახელისუფლებო თუ ოპოზიციური კლანების მიერ საგანგებოდ ამ საქმეზე მიჩენილი იმ მიზნით, რომ სტატუს კვო არ შეიცვალოს. საბოლოოდ, მათი მიზანი ინდივიდებში მოქალაქეობრივი ინსტინქტის ჩაკვლა და თავისუფალი აზრის დათრგუნვაა. „ახლა ასეა საჭირო!“, „ახლა ამის დრო არ არის!“ – ქადაგებენ პარტიულ ელიტათა საყვირები, მაგრამ არ გვიმხელენ – და არავინ კითხულობს – ვინ გადაგვინყვიტა ეს? რა მორალური ან სამართლებრივი უფლებით? რა პროცესის შედეგად? რის სანაცვლოდ?

საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის თემაზე კვლევის ჩატარების იდეა რამდენიმე წელი მწიფდებოდა. კვლევის პირველადი მიზანი ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის ზოგადი ხარისხის დადგენა და ამ თვალსაზრისით არსებული ხარვეზების გამოვლენა უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, ჭავჭავაძის ცენტრმა კვლევა პანდემითა და გლობალური თუ რეგიონული კატაკლიზმებით დალდასმული 2020 წლის ბოლოს ჩაატარა. როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ დაადგინა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტია. მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე წარმოდგენილ ყველა ძირითად პარტიას აქვს დემოკრატიულო-

ბის ამბიცია, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ გაერთიანებათა უმეტესობა ფასადურ-პროცედურული დემოკრატიითაც კი არ იწუხებს თავს. ამ სევდიანი პარადოქსის ბოლო თვალსაჩინო ილუსტრაცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ვიხილეთ, როცა პარტიებმა, მიუხედავად თავზე საყრელი დროისა, მხოლოდ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე წარადგინეს სიები და კანდიდატები, რამაც მომხრებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თვეების განმავლობაში, რიგითი წევრები და ამომრჩევლები გამოცნობისა და მარჩიელობის რეჟიმში ელოდნენ თავიანთი რჩეული პარტიების მიერ სიებისა და კანდიდატების დასახელებას. წესიერი და ავტორიტეტული სახელის გაუღერება – ჯგუფურ ეიფორიას, მიუღებელი კანდიდატურის ვინაობის გაუონვა კი ლიდერთან ინდივიდუალურად, კულუარულად „ხმის მიწვდენის“ განწირულ მცდელობებს იწვევდა.

უცნაურია, მაგრამ ამ ფონზე, არავის მოსვლია თავში სიების ფორმირებისა თუ კანდიდატების შერჩევის პროცესში უშუალო ჩართულობა მოეთხოვა. არც ის გაგვიაზრებია, რომ ამ ჩაკეტილ სისტემას სინამდვილეში არა მხოლოდ ყბა-დაღებული „საბჭოთა მემკვიდრეობა“, არამედ კონკრეტული ავტორები და შემსრულებლები ასაზრდოებენ, რომლებიც ყოველგვარი ანგარიშვალდებულების მიღმა სუფევენ პოლიტიკური ცის კაბადონზე.

ანგარიშვალდებულება მართლაც უცხო ხილია ქართული პოლიტიკური ელიტისთვის. არც ერთ ძირითად პოლიტიკურ პარტიაში კანდიდატების შესარჩევად არ იმართება ე.წ. პრაიმერისი, რომელიც საშუალებას მისცემდა პარტიის ამომრჩეველს, თავად აერჩია სასურველი კანდიდატი. შესაბამისად, რიგითი წევრიცა და მხარდამჭერიც ყოველთვის დგება ფაქტის წინაშე და იძულებულია მოცემულობად მიიღოს ის,

რასაც ხშირად არ ეთანხმება. წევრები პარტიების მართვაში პრაქტიკულად არ მონაწილეობენ. პარტიული ელიტები მათ განიხილავენ, როგორც „ქვეითებს“, რომლებმაც უსიტყვოდ უნდა შეასრულონ უკვე მიღებული გადაწყვეტილებები.

ყველა ძირითად პარტიაში ყველაფერს რეალურად წყვეტს ერთი ადამიანი, ან, უკეთეს შემთხვევაში, ამ ადამიანთან მოცემულ მომენტში დაახლოებულ (ხშირად, ფორმალურად არაპარტიულ) პირთა მცირე ჯგუფი. ხშირად, საკვანძო პოზიციებზე „ავატარები“ ინიშნებიან – ადამიანები, რომლებიც სოლიდურად გამოიყურებიან, გამართულად მეტყველებენ, პოლიტიკოსის ყველა ატრიბუტს ატარებენ, მაგრამ ნულოვან პოლიტიკურ წინას და შინაარსს ასხივებენ, რადგან მხოლოდ რეალური გადაწყვეტილებების მიმღებთა დროებით პოლიტიკურ სხეულებს წარმოადგენენ.

არ არსებობს პიროვნული წინსვლის ინსტიტუციური მექანიზმები და მერიტოკრატიის წამახალისებელი სისტემა. ლი-დერებსა და პარტიებში კონიუნქტურის განმსაზღვრელ გაცვეთილ უჩინმაჩინებს „ახალი“ მხოლოდ „სახეები“ უნდათ – როგორც საკარნავალო წილები და არა რეალური პასუხისმგებლობითა და მართვის ბერკეტებით აღჭურვილი არჩევადი პოლიტიკოსები.

არც ერთი ძირითადი პარტია წაგებული არჩევნების შემდეგ არ გადის ანალიზისა და გადახალისების პროცესს. არავინ იღებს პასუხისმგებლობას სიებზე, კანდიდატებზე, კამპანიის ფორმასა და შინაარსზე, ორგანიზებასა თუ ფინანსებზე, გაუმჯობესებულედ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებზე. ხოლო როცა მომხრები ცვლილებებს ითხოვენ, მათ ისევ ლიდერთა სახელით მოქმედი აგიტატორები აჩუმებენ, „ახლა ამის დრო არ არის!“ ან „ნიჰილიზმს ნუ თესავთ!“ რეფრენით.

„ახლა ამის დრო არ არის“ პრობლემებზე თვალის დასუჭვის, კრიტიკოსების დადუმებისა და არსებული კონიუქტურის შენარჩუნების მარტივ საშუალებად იქცა – საინფორმაციო ომის ერთგვარ იარაღად, რომელიც მრავალი წელი და უკვე მერამდენე საარჩევნო ციკლია მოქმედებს. ამასთან, არავინ უწყის, როდის და რა ვითარებაში დადგება „ამის“ დრო. ნუთუ მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის ან ოპოზიციის საბოლოო განადგურების შემდეგ? საწინააღმდეგო არგუმენტი ხომ ისაა, რომ ასე ოპოზიცია ვერასდროს გაიმარჯვებს, ხოლო ხელისუფლება არასდროს გახდება უკეთესი?

აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატიის მწვავე დეფიციტია. თავის მხრივ, არადემოკრატიულობა და არატრანსპარენტულობა ნოუიერი ნიადაგია პირადი ან ელიტური ინტერესებით მოტივირებული კულუარული პოლიტიკისთვის, რაც ფუნდამენტურად აზიანებს მთლიანად პოლიტიკურ გარემოს. ამდენად, შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი და ინსტიტუციური მექანიზმების არარსებობა არა რომელიმე კონკრეტული პარტიის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების გამოწვევაა.

ძალაუფლების სადავეებთან მყოფთათვის არასდროს დაილევა მიზეზი იმისა, თუ რატომ სჯობს, დემოკრატიამ ცოტა კიდევ მოიცადოს. არსებულ სისტემაში პარტიულ ელიტებს თანდაყოლილი ინტერესთა კონფლიქტი აქვთ შიდა დემოკრატიასთან. ამასთანავე, პარტიული ელიტები თანამდებობებს, დაფინანსებას და, ზოგადად, ლეგიტიმაციას რიგითი წევრებისა და ამომრჩევლებისგან იღებენ. შესაბამისად, ამ ჩიხური რეალობის შეცვლა მხოლოდ აქტიურ მოქალაქეებს შეუძლიათ. ამიტომ... ვიფიქროთ – გავბედოთ კითხვების

დასმა – მოვითხოვოთ პასუხები! და ეს ყველაფერი გავაკე-  
თოთ ახლა, რადგან არავის სურს, 20 წლის მერე ისევ იმ მდგო-  
მარეობაში აღმოვჩნდეთ, რომ ვთქვათ, ნახევარი საუკუნეა  
ერთსა და იმავე წრეზე დავდივართო.

ამ ეტაპზე ჭავჭავაძის ცენტრის მოკრძალებული მიზანი  
შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხზე საზოგადოებრივი  
დისკუსიის სტიმულირებაა. წინამდებარე კვლევა, რომელმაც  
ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატიის მწვა-  
ვე დეფიციტი გამოავლინა, ამ მიმართულებით გადადგმული  
მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მოხარული ვიქნებით, მივიღოთ და  
გავითვალისწინოთ ნებისმიერი კრიტიკა, რომელიც ხელს შეუ-  
წყობს კვლევის დახვენას და გაღრმავებას, აგრეთვე, საკვლე-  
ვი თემის უფრო მეტად აქტუალიზებას. ძალისხმევას არ და-  
ვაკლებთ, რომ გზა გავუხსნათ სხვა მკვლევრებსაც, რათა  
საზოგადოების ფოკუსში მოექცეს დემოკრატიული ტრანს-  
ფორმაციის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი და აქამდე უგუ-  
ლებელყოფილი ფაქტორი.

ნიპილიზმს თესავს არა ის, ვინც კითხვებს სვამს, არამედ  
ის, ვინც კითხვების დასმას კრძალავს. წარმატებული, პლურა-  
ლისტური, ეკონომიკურად წელში გამართული საზოგადოება  
საპირისპირო პრინციპზე დგას. ცვლილება იწყება ჩვენით. ამი-  
ტომ ვიფიქროთ, დავსვათ კითხვები და ვეძიოთ პასუხები. ერთი  
სიტყვით, ვირწმუნოთ საკუთარ თავში მოქალაქე.

### **ზაზა ბიბილაშვილი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და  
სამოქალაქო განათლების ცენტრის დამფუძნებელი

## 1. შესავალი: ლიტერატურის მიმოხილვა

სახელმწიფოს მართვის ის მოდელი, რომელიც დემოკრატიას ეფუძნება, თავისთავად გულისხმობს პოლიტიკურ ძალებს შორის კონკურენციას. დემოკრატიულ მმართველობაში პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძალაუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს პოლიტიკური პრობლემების გააზრება-შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების საკითხებს და პარტიებს შიგნით დემოკრატიულ პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

როგორც ზუდენკოვა (Zudenkova, 2014) აღნიშნავს, პოლიტიკური პარტიები, ერთი მხრივ, გავლენას ახდენენ მოქალაქეების პოლიტიკური პრეფერენციების ფორმირებაზე, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დასაკომპლექტებლად საჭირო ადამიანურ რესურსს. იმისათვის, რათა გავიგოთ, როგორ ყალიბდება პოლიტიკა თითოეულ სახელმწიფოში, საჭიროა პარტიების შიდა ფუნქციონირების შესწავლა (2014, გვ. 2). გრიმვუდი (Grimwood, 2019) გამოყოფს სამ ძირითად დონეს (შიდაპოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამთავრობო), რომლებშიც პოლიტიკური პარტიები ოპერირებენ. შიდაპოლიტიკურ დონეზე პარტიები ირჩევენ ლიდერებს და ახორციელებენ წევრების რეკრუტირებას. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიები აყალიბებენ ორგანიზაციის მისიას და ხედვას სხვადასხვა საკითხზე. ზემოხსენებული ფაქტორები-

დან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიებს დემოკრატიზაციის პროცესში ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ (2019, გვ. 2).

პოლიტიკის მეცნიერებებში ფართოდ დამკვიდრებული მოსაზრებით, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიმართ მოქალაქეთა ნდობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. იგნაზის (Ignazi, 2018) შეფასებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის იდეალურ ბალანსს ინარჩუნებდნენ, თუმცა მათ პოსტმოდერნისტულ და პოსტინდუსტრიულ ტენდენციებს ფეხი ვეღარ აუნყვეს. პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა მოქალაქეებსა და მათ არჩეულ ლიდერებს შორის კავშირის შესუსტება, სამოქალაქო აქტივიზმის შემცირება და ანტიდემოკრატიული ძალების გაძლიერება (Scarrows, 2005). ამ ყველაფერს დაემატა პარტიის წევრების ასაკის მუდმივი მატება, ექსტრემისტული პოლიტიკური სუბიექტების აღმავლობა და, შესაბამისად, ზომიერი ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების დაკნინება (Tsutskiridze, 2018). ლეგიტიმაციის კრიზისის წინაშე დარჩენილმა პარტიებმა პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნება პარტიული აპარატის რეფორმირების მეშვეობით სცადეს, რომლის მთავარი მიზანი წევრებისა და მხარდამჭერების უფრო ფართო ჩართულობით სისტემის გადემოკრატიულება იყო (Close et al, 2017). შესაბამისად, 1970-იანი წლებიდან პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ დამკვიდრდა შიდაპარტიული დემოკრატიის (Intra-Party Democracy) ცნება, რომელიც, ერთი მხრივ, პარტიებში არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიკაციას ახდენს, მეორე მხრივ კი, მათ ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრის გზებს სთავაზობს (2017, გვ. 2).

ჰეივუდის (Heywood, 2013) განმარტებით, შიდაპარტიულ დემოკრატიაში სწორედ პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ დემოკრატიის აგენტებს და მათ შორის ძალაუფლება სამართლიანად და თანაბრადაა განაწილებული (2013, გვ. 231). პოფმაისტერისა და გრაბოუს (Hofmeister, Grabow, 2011) შეფასებით, დემოკრატიული სახელმწიფო არ უნდა მართონ პარტიებმა, რომელთაც, თავის მხრივ, არადემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურები აქვთ. ისინი აღნიშნავენ, რომ კანონმდებლობის დონეზე შიდადემოკრატიული პროცესების მნიშვნელობას თითქმის ყველა პარტია აცნობიერებს, თუმცა რეალურად ეს იშვიათად აისახება (2011, გვ. 48). შიდაპარტიული დემოკრატია პოლიტიკური პარტიების შიგნით ელემენტარული დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებას გულისხმობს. შიდაპარტიული დემოკრატიის იმპლემენტაციის ძირითადი მიზანი ინკლუზიურობისა და დეცენტრალიზაციის გამარტივებით პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფაა (Berge et al, 2013, გვ. 1-3).

გრიმვუდი (Grimwood, 2019) გამოყოფს შიდაპარტიული დემოკრატიის ათ ძირითად კრიტერიუმს: 1. კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის პროცესი; 2. ინკლუზიურობა და დეცენტრალიზაცია; 3. თავისუფალი არჩევანი; 4. წარმომადგენლობა; 5. პოლიტიკის შემუშავება; 6. სამართლიანი დისციპლინარული პროცედურების ჩატარება; 7. შეკრებების თავისუფლება; 8. გამოხატვის თავისუფლება; 9. გამჭვირვალობა; 10. ანგარიშვალდებულება (2019, გვ. 4-7).

სხვადასხვა ავტორი ახდენს იმ ძირითადი ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებიც შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობას ხელს უშლის. მიხელსმა (Michels, 1911) საკუთარ ნაშრომში განავითარა „ოლიგარქიის რკინის კანონი“

(Iron Law of Oligarchy). ეს, მისივე განმარტებით, იგივეა, რაც რამდენიმე გავლენიანი ადამიანის მმართველობა. ავტორის მიხედვით, თითოეულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ჩნდება მმართველი კლასი, რომელიც პარტიაში მიმდინარე პროცესებს სრულად აკონტროლებს. ძალაუფლებაზე მონოპოლის მოპოვება შიდაპარტიული ოლიგარქიის ჩამოყალიბების ნიშანია, რომელიც, თავის მხრივ, შეუთავსებელია პარტიის შიგნით დემოკრატიული პროცესების არსებობასთან (1911, გვ. 48).

შიდაპარტიული პროცესების შეფასებისას სქეროუ (Scar-row, 2005) გამოყოფს სამ ძირითად მახასიათებელს – ინკლუზიურობას, ცენტრალიზაციასა და ინსტიტუციონალიზაციას. სქეროუს აზრით, ინკლუზიურობა აფასებს იმას, თუ რამდენად ფართოა პარტიაში გადაწყვეტილების მიმღებთა წრე. ცენტრალიზაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარტიის რეგიონული ორგანიზაციების ჩართულობას ზომავს. მისივე შეფასებით, მაღალი ცენტრალიზაციის მქონე პარტიებში აღმასრულებელ კომიტეტს (ძირითადად პოლიტ-საბჭო) აქვს მონოპოლია გადაწყვეტილების მიღებაზე. ამგვარ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული პარტიის რეგიონული ოფისების აზრი. რაც შეეხება ინსტიტუციონალიზაციას, ავტორის აზრით, ის მოიცავს მრავალ მახასიათებელს, მათ შორის, პარტიის ავტონომიურობას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და ამომრჩევლის მიერ საკუთარი თავის პარტიასთან ასოცირებას. ზემოხსენებული პრობლემები ქართული რეალობისთვისაც დამახასიათებელია. ეს ასევე ეხება ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ინსტიტუციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი დამახასიათებელია ახლად შექმნილი პარტიებისთვის, რადგან ფორმალური სტრუქტურებისა და ფართო ორგანიზაციული ქსელის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, თუმცა, ეს აუცილებლად არ ნიშ-

ნავს იმას, რომ ხანგრძლივი ინსტიტუციონალური მეხესიერების მქონე პარტიები აუცილებლად ინსტიტუციონალიზებულია (2005, გვ. 6).

აილოტისა და ბოლინის (Aylot, Bolin, 2015) აზრით, შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობა ყველაზე უკეთ პარტიის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვლინდება. კერძოდ, იმ პარტიებში, რომელთაც შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალი ხარისხი აქვთ, გარკვეულ საკითხებზე კონსენსუსი პარტიის რამდენიმე გავლენიან ლიდერს ან ლიდერთა ჯგუფს შორის მიიღწევა, ხოლო პარტიის დანარჩენი, ე.წ. რიგითი წევრების აზრი არ არის გათვალისწინებული, რაც პარტიის ელიტასა და დანარჩენ ნაწილს შორის დიდ უფსკრულს ქმნის. აილოტი და ბოლინი აღნერენ მმართველობის ისეთ მოდელს, რომელიც აქტუალურია ქართული რეალობისთვისაც. მათი აზრით, ამგვარი მმართველობა ხასიათდება ე.წ. Top Down მოდელით, რაც გულისხმობს იმას, რომ პარტიული პროცესები იმართება „ზემოდან ქვემოთ“ ელიტების მიერ და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შემდეგ პარტიის დანარჩენ წევრებსა და მხარდამჭერებს უბრალოდ მიეწოდებათ. ეს მოდელი სრულიად ეწინააღმდეგება დემოკრატიის საზოგადოდ დამკვიდრებულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, მმართველობა „ქვემოდან ზემოთ“ (Bottom Up), რიგითი წევრების უშუალო თანამონაწილეობით უნდა ხორციელდებოდეს (2015, გვ. 2).

ვაისენბახი (Weissenbach, 2010) შიდაპარტიული დემოკრატიის განხილვისას ავითარებს ინსტიტუციონალიზაციის ცნებას, რომელშიც ის, ერთი მხრივ, პარტიული ქცევებისა და განწყობების, მეორე მხრივ კი, ორგანიზაციული კულტურის განვითარებას გულისხმობს. ვაისენბახი ინსტიტუციონალიზაციის შიდა (პოლიტიკური სუბიექტების ორგანიზაციული

განვითარება) და გარე ფაქტორებს (პარტიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა) გამოყოფს. ავტორი ასახელებს პარტიის ინსტიტუციონალიზაციის ოთხ ძირითად განზომილებას: 1. კავშირი საზოგადოებასთან – მოიცავს ისეთი ფაქტორების ერთობლიობას, როგორებიცაა პარტიის ასაკი, ამომრჩევლის ელექტორალური მხარდაჭერა და სამოქალაქო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირები; 2. ავტონომია – გულისხმობს პარტიის დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 3. ორგანიზაცია – გულისხმობს ორგანიზაციული აპარატის არსებობას, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს ყველა ადმინისტრაციულ დონეზე და მოქმედებს პარტიის ინტერესების შესაბამისად; 4. ერთიანობა – გულისხმობს პარტიის შეჭიდულობის მაღალ დონეს, პარტიის სხვადასხვა წევრსა და ჯგუფს შორის ზომიერ ურთიერთობებს (2010, გვ. 4-5).

ჰოფმაისტერისა და გრაბოუს (Hofmeister & Grabow, 2011) მოსაზრებით, შიდაპარტიული დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიტიკური აქტივიზმის დაბალი დონე, რაც ორგანიზაციის შიგნით კორუფციასა და კლანურ მმართველობას ახალისებს (2011, გვ. 48). ამას გარდა, შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალი დონე პარტიაში განსხვავებული აზრის მიუღებლობით, ფინანსური გაუმჭვირვალობით, შიდაპარტიული დისკუსიებისა და პოლიტიკური პლურალიზმის არარსებობით ვლინდება (Scarrows, 2005, გვ. 4).

აილოტის და ბოლინის (Aylot, Bolin, 2015) შეფასებით, შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პარტიული სისტემები. ავტორები ლიდერის/წამყვანი კანდიდატის შერჩევის თვალსაზრისით პოლიტიკურ პარტიებს 4 ნაწილად ყოფენ:

1. Party on the ground – ამ შემთხვევაში ლიდერი პარტიის წევრების, ორგანიზაციის რეგიონული განყოფილების ან პარტიული კონგრესის მიერ აირჩევა;
2. Party in central office – ამ დროს ლიდერის შერჩევაში გადამწყვეტი სიტყვა პარტიის ლიდერშიცს (წამყვანი სახეები და მენეჯერები) ეთქმის;
3. Party in public office – ამ დროს პარტიის ლიდერს საპარ-ლამენტო მანდატის მქონე დეპუტატები ან მინისტრთა კაბინეტის წევრები ირჩევენ;
4. External sponsor – ამ შემთხვევაში, პარტიის ლიდერის შერჩევა ყველაზე მსხვილი ფინანსური კონტრიბუტო-რის პრეროგატივაა (2015, გვ. 6).

შიდაპარტიული დემოკრატიის განხილვისას მნივშენლოვანია პარტიული სისტემებისა და მათი მახასიათებლების გა-თვალისწინება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სარტორის (Sartori, 1976) კვლევა, რომელშიც ის პარტიული სისტემების სამ ძირითად სახეს გვთავაზობს. მისი შეფასებით, პოლიტიკურ პლურალიზმზე საუბარი ერთპარტიულ სისტემებში რთულია, რადგან ამ შემთხვევაში ძალაუფლების მონოპოლიზებას ერთი კონკრეტული პარტია ახორციელებს. ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები შიდაპარტიული დემოკრატიის გარკვეული დონით ხასიათდება, თუმცა, თითოეული მათგანის დემოკრატიულობა ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტის თავისებურებებიდან გამომდინარეობს (1976, გვ. 40).

კაცი და მაირი (Katz, Mair, 1995) შიდაპარტიული დემოკრატიის ზრდას „კარტელური“ პარტიების ჩამოყალიბებას უკავშირებენ. ისინი პარტიული სისტემის ევოლუციას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულე-

ბამდე განიხილავენ და მისი განვითარების ოთხ ძირითად სტადიას გამოყოფენ. ესენია:

1. ელიტისტური პარტიები (Elitist Parties) მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე არსებობდნენ. ამ ტიპის პარტიებში მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალი იყო, ხმის უფლებით მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობდა, ხოლო პარტიაში გადაწყვეტილებებს გავლენიანი ლიდერები იღებდნენ (1995, გვ. 9);
2. ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩარებამ (1880-იანი წლები) ხელი შეუწყო მასებზე ორიენტირებული ტიპის პარტიების (Mass Parties) გაჩენას, რომლებიც მასობრივი სუფრაჟიზმით, სოციალური რეფორმაციითა და პოლიტიკური რესურსების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით ხასიათდებოდა (1995, გვ. 10);
3. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყალიბდება ე.ნ. მრავალწახნაგოვანი პარტიები (Catch-All Parties), რომლებმაც შეასუსტეს კოლექტიურ იდენტობაზე დაფუძნებული პოლიტიკური აქტივობა და ინდივიდუალიზმი წაახალისეს. ასეთი პარტიებისთვის წევრების რეკრუტირების პროცესში გადამწყვეტი აღმოჩნდა არა საერთო სოციალური იდენტობის შეგრძნება, არამედ შეთანხმება საერთო პოლიტიკის განხორციელების საჭიროებაზე (1995, გვ. 13);
4. 1970-იან წლებში პოლიტიკური პარტიების დაკნინებასთან ერთად გაჩნდა კარტელური ტიპის პარტიები (Cartel Parties), რომელთათვისაც დამახასიათებელია როგორც ძალაუფლებისა და რესურსებისთვის შიდაპარტიული კონკურენცია, ისე პარტიის ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის ფორმალური ზღვრის მოშლა; (1995, გვ. 19).

რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან პოლიტიკურ-მა პარტიებმა შიდაპარტიული დემოკრატიის გასაზრდე-ლად? პოფმაისტერი და გრაბოუ (Hofmeister, Grabow, 2011) გამოყოფენ 6 ძირითად ფაქტორს, რომელთა გათვალისწინება ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციაში შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ესე-ნია: „1. პარტიის შიდა საქმეებში ყველა წევრის ჩართულობის ხელშეწყობა; 2. პარტიის წევრებისთვის სხვადასხვა საკითხზე აზრის დაფიქსირების თავისუფალი შესაძლებლობა; 3. ადა-მიანების სხვადასხვა სეგმენტის უშუალო თანამონაწილეობის უზრუნველყოფა; 4. განსხვავებული აზრის პატივისცემა; 5. წესებისა და რეგულაციების დაცვა; 6. ლიდერების მიერ რიგი-თი წევრების აზრის გათვალისწინება“ (2011, გვ. 50).

სქეროუ (Scarrows, 2005) განიხილავს შიდაპარტიული დე-მოკრატიის რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელს, მათ შორის კანდიდატების შერჩევის პროცესს, პარტიული პო-ლიტიკის შემუშავებას, პარტიის წევრობის მოთხოვნებს, პარტიასა და საზოგადოებას შორის კავშირსა და პარტიის წევრების პოლიტიკურ აქტივობას. სქეროუ სვამს კითხვას: რამდენად ჩართული არიან პარტიის რიგითი წევრები წამყ-ვანი კანდიდატების/ლიდერების შერჩევის პროცესში? ეს კითხვა ქართულ სინამდვილეშიც დასასმელია. თავად სქეროუ ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ხელისშემსლელ ფაქტორს გა-მოყოფს. მათ შორის, ეს შეიძლება იყოს მაღალი საწევრო გა-დასახადის დაწესება, დემოგრაფიული კვოტა და პარტიაში გასაწევრიანებლად გარკვეული დროის გასვლა. მისი შეფასე-ბით, პარტიული პოლიტიკის შემუშავების პროცესში მნიშვ-ნელოვან წინაღობას ქმნის შიდაპარტიული კონსულტაციე-ბისა და პლებისციტების არარსებობა. ხშირად პოლიტიკური პარტიები რეკრუტირების პროცესში ზედმეტად ფორმალურ

პროცესს იყენებენ, რაც პარტიაში გაწევრიანების მოტივაციას მაქსიმალურად ამცირებს. გარკვეულ ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს ასევე პარტიებსა და ამომრჩეველს შორის სოციალური კავშირის შესუსტება და პარტიული აქტივობის დაბალი მაჩვენებელი (2005, გვ. 4).

სქეროუ დამატებით გამოყოფს სამ ძირითად ფაქტორს (კანდიდატების რეკრუტირება, პარტიის ლიდერის არჩევა და პარტიული პოლიტიკის შემუშავება), რომლებზეც პარტიებმა აქტიურად უნდა იმუშაონ. ავტორი აღნიშნავს, რომ რეკრუტირების პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დიდწილად სწორედ შერჩეული კანდიდატები განაპირობენ არჩევნებში პარტიის მიერ ნაჩვენებ შედეგს. მისი დაკვირვებით, პარტიები, რომლებიც ეყრდნობიან კანდიდატის შერჩევის პროცესში მხარდამჭერების ფართო ჩართულობას ორ ძირითად მექანიზმს იყენებენ: 1. პრაიმერისი (პარტიის კანდიდატის პირდაპირი არჩევნები); 2. პარტიის წევრების ფართო თავყრილობა, რომელსაც ხშირად კოკუსის სახე აქვს. პარტიაში გაწევრიანების მოთხოვნები შეიძლება ყველა სახელმწიფოში სხვადასხვანაირი იყოს. ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ პრაიმერიზის სისტემას, ხმის მიცემა ან ფოსტით, ან საარჩევნო უბანზე პირდაპირი ხმის მიცემით შეიძლება. იქ, სადაც გამართული საფოსტო სისტემაა, ეს მექანიზმი უფრო მარტივად განსახორციელებელი და ეფექტურია, თუმცა, იმის გამო, რომ მისი გაყალბება უფრო მარტივია, ამ მეთოდს სახელმწიფოთა უმეტესობა იშვიათად მიმართავს (2005, გვ. 8).

სქეროუს ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შიდაპარტიული დემოკრატიის გაუმჯობესების პროცესში პარტიის ლიდერის არჩევის მნიშვნელობაზე. მისი აზრით, ეს შესაძლებელია პარტიული კონფერენციის ორგანიზებით, პარტიის წევრების მიერ მისი პირდაპირი არჩევით, ან ზე-

მოხსენებული ორი პრინციპის შერწყმით. პარტიის ლიდერის შერჩევის ამგვარი გამჭვირვალე პრინციპი ხელს უწყობს წევრებს შორის არსებული მეტოქეობის აღმოფხვრას და შიდაპარტიულ პროცესებს უფრო მეტად დემოკრატიულს ხდის. რაც შეეხება პარტიული პოლიტიკის შემუშავებას, მნიშვნელოვანია წევრებს შორის გადაწყვეტილების მიღებამდე საყოველთაო დისკუსიების მოწყობა (2005, გვ. 9-10).

პარტიების შიდა ფუნქციონირება მრავალ ქვეყანაში კანონითაა რეგულირებული. რეგულაციები შეიძლება მოიცავდეს კანდიდატების არჩევის წესს, პარტიის ლიდერების შერჩევას, ქალებისა და უმცირესობების წარმოდგენას პარტიის ლიდერშიფში. კანდიდატებისა და ლიდერების არჩევის წესის დემოკრატიულობას განსაზღვრავს პროცესის ცენტრალიზაციის ხარისხი (გადაწყვეტილებებს მხოლოდ პარტიის პოლიტსაბჭო იღებს, თუ მასში ჩართულია რეგიონული ორგანიზაციებიც), ამომრჩეველთა (რაც მეტია ამომრჩეველი, მით დემოკრატიულია პროცესი) და სავარაუდო კანდიდატთა რაოდენობა (რაც უფრო მეტი ადამიანი იბრძვის ნომინაციისთვის, მით მაღალია შიდა პარტიული პლურალიზმის ხარისხი). რაც შეეხება უმცირესობების ჩართულობის ხელოვნურ წახალისებას, ნორისის (Norris, 2004) აზრით, მრავალი ქვეყანა იყენებს კვოტირების სისტემას, რაც გულისხმობს პარტიის ლიდერშიფში კონკრეტული რაოდენობის ადამიანის ნომინირებას გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. უმცირესობებიდან (2004, გვ. 3). გარკვეული რეგულაციები პარტიების შიგნით კანდიდატების/ლიდერების ნომინაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, ინდოეთი, ავსტრალია, ესპანეთი, ვენესუელა, პორტუგალია, ნეპალი, საფრანგეთი, ბელგია და ა.შ. (Gauja, 2006, გვ. 4).

საქართველოში ყველა ზემოხსენებული პრობლემა აქტუალურია. „ზემოდან ქვემოთ” მმართველობა, პარტიული კორუფცია, გავლენიანი ლიდერების მიერ ძალაუფლების მონოპოლიზება, ფინანსური გაუმჯვირვალობა, განსხვავებული აზრის მიუღებლობა, ფართო საჯარო განხილვებისა და პოლიტიკური პლურალიზმის არარსებობა საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის. ნოდიასა და სქოლტბახის (2006) შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თითქმის ყველა პარტია დემოკრატიულ ლირებულებებს აღიარებს, მათი შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მნიშვნელოვანი გავლენით არის ჩამოყალიბებული. პარტიები ზედმეტად ცენტრალიზებულნი არიან და რიგით წევრებს პარტიის პოლიტიკის განსაზღვრაზე მცირე გავლენა აქვთ.

ცუცქირიძე (Tsutskiridze, 2018) გამოყოფს რამდენიმე მახასიათებელს, რომელზეც ქართულმა პარტიებმა შიდაპარტიული დემოკრატიის გასაზრდელად უნდა იმუშაონ. ესენია:

1. პარტიის წევრობა – პარტიაში განევრიანება მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს. წევრობის მინიმალურ მოთხოვნად შესაძლოა დაწესდეს პარტიული მანიფესტის გაზიარება;
2. პარტიული ორგანიზაციის ფორმირება – ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა შეიქმნას დამოუკიდებლად, პარტიის ლიდერების ჩაურევლად. ადგილობრივი ორგანიზაციები თვითმმართველობის მაღალი ხარისხით უნდა სარგებლობდნენ და პარტიის ცენტრალურ აპარატზე არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი; 3. კანდიდატების რეკრუტირება – გადაწყვეტილებების მიღება მთლიანად ძირითადი აღმასრულებელი ორგანოს პრეროგატივა არ უნდა იყოს. ზემოხსენებული პრობლემის გადასაჭრელად უნდა გაძლიერდ-

ნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და პარტიულ საქმიანობაში ჩართულობის ხარისხი უნდა გაიზარდოს; 4. გენდერული თანასწორობა და უმცირესობების ჩართულობა – პარტია უნდა ეცადოს გარკვეული ინიციატივების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს პარტიაში მეტ-ნაკლები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ასევე პარტიულ პოლიტიკაში ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ჩართულობას; 5. ამომრჩეველთა განათლება, ინტერესების გაერთიანება და პოლიტიკის შექმნა – პარტიის ყველა წევრს/ჯგუფს/ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ინიციატივის დაუპროლებლად წამოყენების შესაძლებლობა; 6. ფული და პოლიტიკა – პარტიებმა ფინანსურ კონტრიბუციებზე დაბალი ზღვარი უნდა დააწესონ, რაც ხელს შეუშლის რამდენიმე მსხვილი დონორის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დიდი გავლენის მოპოვებას. აგრეთვე, პარტიის ფინანსური დოკუმენტები მისი ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; 7. პარტიების გაციფრულება – ტექნილოგიას შეუძლია გააუმჯობესოს ტრადიციული პოლიტიკური პროცესი, ხელი შეუწყოს პარტიებს ამომრჩევლების ფართო ფენებზე გასვლაში და დაზოგოს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები (2018, გვ. 3-8).

ნოდია და სქოლტბახი (2006) მიიჩნევენ, რომ პარტიის შიგნით ძალაუფლების რაც შეიძლება პორიზონტალური გადანაწილება და სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება შეიძლება, პოლიტიკური ორგანიზაციის ერთიანობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება იყოს. რიგითი წევრების ჩართვა პარტიის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების განხილვაში მათი მოტივაციის გაზრდის საფუძველი შეიძლება გახდეს მაშინაც კი, როდესაც ასეთი განხილვები პარტიის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გა-

ვლენას არ ახდენს (2006, გვ. 178). შიდაპარტიული დემოკრატიის გაზრდის ერთ-ერთი საშუალება პარტიული აპარატის დეცენტრალიზაციაა. პარტიების მიზანი არა მარტო ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ კონკრეტული, მათ შორის ამა თუ იმ რეგიონისა თუ რაიონისთვის სპეციფიკური, პრობლემების გადაწყვეტაა. ამიტომ, პარტიები უნდა ეცადონ რეგიონული ორგანიზაციებისთვის მეტი ძალაუფლების დელეგირებას, რათა მათ საკუთარი ინიციატივების დეკლარირების უკეთესი შესაძლებლობა მიეცეთ და პარტიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ერთგვარი ხიდის ფუნქცია შეასრულონ (ნოდია, სქოლტბახი, 2006, გვ. 185).

## 2. კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და პროცედურები

კვლევის მიზანია არსებულ სხვადასხვა კომპონენტზე დაკვირვებით ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის მდგომარეობის შეფასება და ხარისხის გამოკვლევა.

არსებული სიტუაციისა და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი საკვლევი კითხვაა: კვლევის მომენტისთვის რა ხარისხითაა განვითარებული შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში?

შეფასებისას კვლევა ითვალისწინებს შიდაპარტიული დემოკრატიის არსებულ ინდექსს (რაჟატი და შაპირა, 2017) და აკვირდება ხუთ მთავარ კომპონენტს: მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელს, წარმომადგენლობითობას, კონკურენციას, საპასუხო რეაგირების მაჩვენებელს და გამჭვირვალობას. სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში დაკვირვების ობიექტია სხვა მახასიათებლებიც.

კვლევის დიზაინად შერჩეულია შერეული კვლევის მეთოდოლოგიის ყველაზე მეტად გავრცელებული მოდელი – სინქრონული ტრიანგულაციის სტრატეგია (concurrent triangulation strategy). ვალიდურობისთვის კვლევა სხვადასხვა მეთოდის

კომბინაციას მიმართავს. რაოდენობრივი ინფორმაცია მიღებულია ვებ-ანკეტირების საშუალებით (კვლევის ინსტრუმენტია სტრუქტურირებული კითხვარი), გენერალური ერთობლიობის შემადგენლობისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაციული ვაკუუმის ფონზე შერჩევა განხორციელდა მიზნობრივად, არარეპრეზენტატული გზით. ამდენად, კვლევაში მოცემული რაოდენობრივი მონაცემები ასახავს მხოლოდ გამოკითხული ერთობლიობის პოზიციებს და ის გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადებას არ ექვემდებარება. ვებანკეტირების მიზანი საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართულებით არსებული ზოგადი ტენდენციების გამოკვეთაა. თვისებრივი მონაცემები შეგროვდა სილრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ასევე ვებანკეტებში ღია კითხვების საშუალებით. სილრმისეული ინტერვიუებისთვის, მიზნობრივი შერჩევით ჩატარდა ინტერვიუები 10 პირისპირ ინტერვიუ, რომელთათვისაც ექვსი პარტიის 10 წარმომადგენელი შეირჩა (6 ქალი და 4 კაცი). ყველა მათგანი პოლიტიკაპატოს წევრი ან მაჟორიტარობის კანდიდატია (გამონაკლისია „გირჩი“). სპეციფიკური დეტალების დასადგენად კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი/გზამკვლევი. ინტერვიუები ჩაიწერა სექტემბერ-ოქტომბერში. ცხრილში წარმოდგენილია პარტიების ჩამონათვალი, წარმომადგენლების ვინაობა კონფიდენციალურია და ტესტში კოდირებული ნუმერაციით.

კოდირება	პარტია
N1	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
N2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
N3	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
N4	ქართული ოცნება
N5	სტრატეგია აღმაშენებელი
N6	გირჩი
N7	გირჩი
N8	ლელო
N9	ლელო
N10	რესპუბლიკური პარტია

არაერთი მცდელობის მიუხედავად, სიღრმისეულ ინტერ-ვიუებზე ვერ მოხერხდა ევროპული საქართველოს და პატრიოტთა ალიანსის ლიდერების დათანხმება.

რესპოდენტების გამოკითხვისა და ინტერვიუებისთვის შერჩეულია საერთო ფაზა, რომელიც სინქრონულად ერთსა და იმავე საკვლევ პერიოდში მიმდინარეობდა (2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში); მონაცემები ცალ-ცალკე დამუშავდა (ნოემბერში) და გაერთიანდა როგორც მონაცემთა ანალიზის, ისე დასკვნებისა და დისკუსიის ნაწილში. მოხდა მონაცემების დადასტურება, შევსება, შედარება, საერთო და განმასხვავებელი კომპონენტების გამოყოფა, ურთიერთვალიდაცია. გამოკითხვიდან და სიღრმისეული ინტერვიუებიდან მიღებული თვისებრივი მონაცემების ინტეგრირება გვეხმარება საკვლევი ფენომენის გარშემო ინტერპრეტაციული დასკვნების ჩამოყალიბებაში.

კვლევის საწყის ეტაპზე მომზადდა და შემოწმდა კვლევის ინსტრუმენტები, რის შემდეგაც სპეციფიკური საჭიროებების და პრობლემების დეტალური იდენტიფიკაციისთვის დაზუსტდა კონტრასტული კითხვები. კითხვარი მოიცავს როგორც ლია, ისე დახურულ კითხვებს. კვლევის შერჩეულმა დიზაინმა საშუალება მოგვცა, ღია კითხვები და თვისებრივი ინფორმაცია დამუშავებულიყო პატერნული კოდების გამოვლენითა და რაოდენობრივ მაჩვენებელში გადაყვანის გზით. ამგვარი კოდების გამოვლენით შესაძლებელი გახდა ტექსტში კონკრეტული მახასიათებლების დათვლა. ასევე, გამოკითხვიდან (ლია კითხვებიდან) გამოიკვეთა კატეგორიები: თვისებრივი ინფორმაცია, რომელიც დაჯგუფდა კონკრეტული თემების სახით. ონლაინ-ანკეტის შემთხვევაში რესპონდენტების ვინაობა ანონიმურია, ხოლო ინტერვიუების დროს დაცულია კონფიდენციალობა.

საველე კვლევის პერიოდი განისაზღვრა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების თარიღთან (31 ოქტომბერი) მიმართებით. ესაა არჩევნებამდე დაახლოებით შვიდი კვირით ადრე (9 სექტემბერიდან – 20 ოქტომბრის ჩათვლით). კვლევის პერიოდის შერჩევა განაპირობა მოსაზრებამ, რომ წინასაარჩევნო მონაკვეთში პარტიებში მიმდინარეობს კანდიდატების შერჩევა, სიების წარდგენა, კანდიდატების მედიაში პოზიციონირება და შიდაპარტიული დემოკრატიის გამოვლინებაც (ან პირიქით) უფრო თვალსაჩინოა დაკვირვებისთვის.

ონლაინ კითხვარისთვის შერჩეული პოპულაცია არის პოლიტიკური პარტიის წევრები და მხარდამჭერები, რომლებიც მკვლევართა გუნდის ვარაუდით მონაწილეობენ/უნდა მონაწილეობდნენ პარტიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ პოპულაციიდან შერჩევა განხორციელდა არარეპრეზენტატული გზით, რადგან საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი პარტიების წევრების და მხარდამჭე-

რების სრული და მოწესრიგებული მონაცემთა ბაზები. რადგანაც პოლიტიკური პარტიების წევრთა ოფიციალური სის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, ანკეტირება განხორციელდა მიზნობრივად, არაალბათური შერჩევის გზით. ამდენად, ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემები გენერალურ ერთობლიობაზე ვერ განზოგადდება, თუმცა შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართულებით ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არსებული ტენდენციების გამოსაკვეთად საკმარის ინფორმაციას იძლევა.

შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების წევრებისა და მხარდამჭერების მოძიება და მათთან კომუნიკაცია განხორციელდა ონლაინ და არაპირდაპირ გზით (სოციალური ქსელების პლატფორმის და ელფონსტის გამოყენებით). სულ გამოიკითხა 183 რესპონდენტი. რესპონდენტებმა კითხვარი შეავსეს თვითადმინისტრირების გზით. სამიზნე ჯგუფთან წვდომა განხორციელდა სოციალური ქსელის – „ფეისბუქისა“ და ელფონსტის მეშვეობით.

### 3. ინტეგრირებული ანალიზი და შედეგები

#### ზოგადი მონაცემები რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების შესახებ


კითხვარი შეავსო 183-მა რესპონდენტმა, რომელთა შეხედულებებთან ახლოსაა საქართველოში რეგისტრირებული 15 პოლიტიკური პარტია. წარმოდგენილი სამიზნე ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოკითხულთა 54% ( $N=98$ ) ჩართულია პარტიულ საქმიანობაში სხვადასხვა პოზიციაზე, თუმცა, მხოლოდ 36 % ( $N=65$ ) არის ამა თუ იმ პარტიის წევრი. გამოკითხვაში მონაწილე პარტიის წევრები არიან მმართველი ორგანოს წევრი ( $N=11$ ), რეგიონული ან ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი ( $N=28$ ), მხარდამჭერი ან მოხალისე ( $N=23$ ), სამმართველოს თავისი საქმიანობა პარტიაში არ დაკონკრეტა. დამატებით გამოვლინდა ჯგუფი (36 რესპონდენტი), რომელიც საერთოდ არ არის იმ პარტიის წევრი, რომელიც ახლოსაა მის შეხედულებებთან, მაგრამ, ამასთან, არის მმართველი ორგანოს წევრი ( $N=2$ ), რეგიონული ან ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი ( $N=6$ ) ან მხარდამჭერი ან მოხალისე ( $N=28$ ). 183-დან 85-მა რესპონდენტებმა არ დაკონკრეტა მის მიერ მონიშნულ პარტიაში ჩართულობის რაიმე სტატუსი.

**დიაგრამა N1** აჩვენებს, რომელ პოლიტიკურ გაერთიანებას მიიჩნევენ რესპონდენტები საკუთარ შეხედულებებთან

ყველაზე ახლოს მდგომად და ყოფილან/არიან თუ არა ამ პარტიის წევრები?


#### დიაგრამა N1

რომელი პარტია თქვენს შეხედულებებთან ახლოს მდგომი? ხართ  
თუ არა ამ პარტიის წევრი?



დიაგრამა N2 აჩვენებს როგორ ნაწილდება პოზიციები პარტიაში პარტიულ და არაპარტიულ წევრებს შორის.

#### დიაგრამა N2



### 3.1. შიდაპარტიული დემოკრატიის ინდექსი და კომპონენტები

რეალურად რომ გამოჩენდეს, არსებობს თუ არა და რა ფორმით ფუნქციონირებს შიდაპარტიული დემოკრატია, რესპონდენტებმა შეაფასეს ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობა და აღნერეს რეალური ქცევები და გარემო პარტიებში. ამ კომპონენტებზე დაკვირვებით იყვეთება საერთო სურათის მნიშვნელოვანი დეტალები. დაკვირვების ობიექტი შემდეგი კომპონენტებია: პარტიული სისტემის გამჭვირვალობა, კონკურენცია, ჩართულობა, წარმომადგენლობითობა და პასუხისმგებლობა.


ცხრილი N 1 და დიაგრამა N3 აჩვენებს, რესპონდენტების აზრით, რა ხარისხითაა განვითარებული მათთან ახლოს მდგომ პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის სხვადასხვა კომპონენტი (მაგ: მხარდამჭერების ჩართულობა, ამომრჩევლის წარმომადგენლობითობა, პროცედურების გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთან, შიდა კონკურენცია)? რესპონდენტებმა შეაფასეს სკალით 1-დან 5-მდე, სადაც 1 არის – ძალიან სუსტად, 5 – ძალიან ძლიერად. ცხრილში წარმოდგენილია გასაშუალოებული მაჩვენებელი. კითხვას უპასუხა 183 მა რესპონდენტმა.

**ცხრილი N1**

პარტიაში არსებული პრაქტიკის შეფასება	ძალიან სუსტად	საშუალოდ	ძალიან ძლიერად	თვითშეფა- სების ინდექსი
მხარდამჭერების ჩართულობა	25 %	23 %	52 %	<b>3.4</b>
ამომრჩევლის წარმომადგენლობითობა	34 %	22 %	44 %	<b>3.1</b>
პროცედურების გამჭვირვალობა	31 %	21%	48 %	<b>3.3</b>
ანგარიშგალდებულება ამომრჩეველთან	29 %	19 %	52 %	<b>3.4</b>
შიდა კონკურენცია	32 %	22 %	46 %	<b>3.2</b>

ამ ხუთ კომპონენტზე დაკვირვებით, შიდაპარტიული დე-მოკრატიის თვითშეფასების ინდექსის საშუალო მაჩვენებელია 3.2, თუმცა ეს საერთო სურათის მხოლოდ ერთი ნაწილია და აუცილებელია სხვა ფაქტორების გათვალიწინება. სწორედ ამიტომ, კონტრასტული კითხვებით დამატებითი ელემენტებიც იკვეთება (იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა N3: შიდაპარტიული დემოკრატიის თვითშეფასების ინდექსი 5  
კომპონენტის მიხედვით



ამ მონაცემებით, რესპონდენტების ყველაზე მეტი რაოდენობა შედარებით კრიტიკულად აფასებს ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კონკურენციას. ამ ხუთ კომპონენტს, ქვემოთ ცალ-ცალკე მიმოვინარებული არის:

### **3.1.1. ინფორმირებულობა შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ**



გამოკითხულთა ინფორმირებულობა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე არასრულია. მათ ნანილს წარმოდგენა აქვს ცალკეულ კომპონენტზე, მაგრამ არა მთლიან პროცესზე, რაც აიხსნება პროცედურებში ჩართულობისა და გამჭვირვალობის დაბალი ხარისხით.

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფინიციისას ჩანს არა მარტო ის, თუ რა იციან რესპონდენტებმა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე, არამედ ისიც, რა არ იციან და უნდა იცოდნენ ამ საკითხზე. რესპონდენტების უმრავლესობა ახსენებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის აუცილებლობას. არ სახელდება ლიდერებისა და მმართველი რგოლის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება მხარდამჭერების წინაშე, რაც შიდაპარტიული დემოკრატიის ინდექსის კომპონენტია.

არასავალდებულო კატეგორიის ღია კითხვაზე: თქვენი აზრით, რა არის შიდა პარტიული დემოკრატია? მკაფიოდ უპასუხა მხოლოდ 133-მა რესპონდენტმა, პასუხებში გამოიკვეთა 194 თვისებრივი მახასიათებელი, რომლებიც პატერნულად დაჯგუფდა. საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების პატერნული კოდირების შემდეგ (სულ 12 კოდი) გამოიკვეთა ტენდენციები

და ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტები. რესპონ-  
დენტების მოსაზრებით, შიდაპარტიული დემოკრატია არის  
გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობა, განსხვავებული  
აზრის პატივისცემა, კრიტიკული აზრის გამოთქმის უფლება,  
თავისუფლება, გადაწყვეტილების გუნდურად და არა ერთპი-  
როვნულად მიღება, შიდაპარტიული არჩევნები/პრაიმერისი და  
გამჭვირვალობა. მიღებული პასუხები გამოკვეთს კონცეფციე-  
ბს შორის კავშირს, რაც წარმოდგენილ მატრიცაში აისახა (იხ.  
დიაგრამა N4: შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ ინფორ-  
მირებულობის მატრიცა).

## დიაგრამა N4



ჯანსაღი კონკურენცია და  
კარიერული წინსვლის  
პერსპექტივა (16)

- ყველაზე მეტჯერ ხსენება (38-34)
- საშუალო სიხშირით ხსენება (16-20)
- ყველაზე ნაკლები ხსენება (1-14)

სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტების განსაზღვრებები შიდაპარტიული დემოკრატიის შესახებ ემთხვევა იმ ტენდენციებს, რომლებიც ვებანკეტირებისას გამოიკვეთა. რესპონდენტების აზრით, ეს ცნება მრავალკომპონენტიანია და გულისხმობს პარტიის ისეთ ინსტიტუციურ მოწყობას, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ და პროცესში რიგითი წევრები არიან ჩართულნი. მათი განმარტებით, გადაწყვეტილებები მოიცავს როგორც საარჩევნო სიის ფორმირების, ისე ხელმძღვანელის არჩევის პროცესს და აუცილებელია, აღნიშნული პროცესი ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდეს. მათი აზრით, ეს ყოველივე უნდა მოიცავდეს რიგითი წევრების ინფორმირებას, მოთხოვნებზე რეაგირებას, გადაწყვეტილების აღსრულებასა და კონტროლს. რესპონდენტების აზრით, ასეთი მექანიზმის ეფექტურად მუშაობისას პარტიის წევრებს აზრის გამოხატვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რიგითი მხარდამჭერებისა და წევრების აზრი ქვემოდან ზემოთ, პარტიის ლიდერებამდე მიდიოდეს და პარტიის წევრი რაიმე სახით უკუგებას იღებდეს.

ანკეტირებისგან განსხვავებით, სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები, რომლებიც პარტიის მმართველი რგოლებიდან შეირჩა, უფრო გამოკვეთილად ახსენებენ ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტს და დეტალურად აღწერენ, როგორ უნდა დაიხვენოს პროცესი.

შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი პარტიის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პარტიის წევრთა მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს და ის კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს, ამიტომ ანკეტირებისას კითხვები აღნიშნულ საკითხსაც ფა-


რავს. კითხვაზე, თუ როგორ მიიღება მათ შეხედულებებთან ახლოს მდგომ პარტიებში გადაწყვეტილებები, გამოკითხულთა 54%-მა უპასუხა, რომ არ იცის, ან უარი განაცხადა პასუხზე. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებში მიმდინარე პროცესებში გამჭვირვალობისა და ჩართულობის კომპონენტები არასათანადოდაა წარმოდგენილი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხზე.

საკუთარ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის შეფასებისა და, ამ მხრივ, პროგრესისთვის მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირების ნაწილში ანკეტირებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია საქართველოში შიდაპარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით არსებული სირთულეების დანახვის საშუალებას იძლევა.

შიდაპარტიული დემოკრატიის მდგომარეობასთან დაკავშირებით მოხდა პარტიების თვითშეფასება (საკუთარი მხარდამჭერების მიერ). რესპონდენტებმა სკალაზე შეაფასეს პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დონე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამოკითხული მხარდამჭერები ყველაზე კრიტიკულები არიან საკუთარი პარტიის მიმართ.


დიაგრამა N5 აჩვენებს, რომ გამოკითხულთა შორის ყველაზე კრიტიკულები საკუთარ პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან. ამ შემთხვევაში შევაფასეთ მხოლოდ ის პარტიები, რომელთა, სულ მცირე, 10 ნარმომადგენელი გამოიკითხა.

### დიაგრამა N5



დიაგრამაში N6 გამოყოფილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჩვენებელი მთლიან მონაცემში.

### დიაგრამა N6



თვისებრივმა მონაცემებმა კიდევ უფრო გამოკვეთა, რომელი კონკრეტული ფაქტორები შეიძლება იწვევდეს რესპო-

დენტის კრიტიკულ დამოკიდებულებას (ამ საკითხების სიღრმისეული კვლევა სამომავლო პერსპექტივაა).


### 3.1.2. სისტემის გამჭვირვალობა

შიდაპარტიული ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტი გადაწვეტილებების მიღებისა და შიდაპარტიული პროცედურების გამჭვირვალე სისტემის არსებობაა. გამჭვირვალობა აგრეთვე გულისხმობს საარჩევნო პარტიული სიების ფორმირებაზე მხარდამჭერების ინფორმირებულობას, პარტიის დაფინანსების, ფინანსების განკარგვისა და სხვა პროცედურა-აქტივობების შესახებ.

ვებანკეტირების გზით გამოკითხული რესპონდენტების 93%-ისთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური გაერთიანების შიგნით გამჭვირვალე სისტემის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი პარტიებში პროცესის გამჭვირვალობაზე საუბრობს, დიაგრამა N7 წარმოაჩენს კონტრასტს, რომელიც არის რესპონდენტების დაკვეთასა და არსებულ მდგომარეობას შორის.

სიღრმისეულ ინტერვიუებში შიდაპარტიულ დემორატიასა და პროცედურების აღწერაზე საუბრისას საკვანძო საკითხად რესპონდენტები ასახელებენ სიის შედეგების პროცესს და ამ თვალსაზრისით გამოკვეთილად კრიტიკული არიან.

## დიაგრამა N7



„ქართული ოცნების“ წარმომადგენლის (რესპონდენტი N4) აზრით, შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა ყველაზე მეტად საარჩევნო სიების ფორმირებისას ჩანს: „ნამდვილად, არავინ იცის, როგორ ხდება ამ სიების შედგენა“. „გირჩის“ წარმომადგენლის (რესპონდენტი N7) აზრით, ყველაზე ცხადად პროცესების გამჭვირვალობა და ანატომია ჩანს სიების დაკომპლექტებისას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი (რესპონდენტი N3) მიიჩნევს, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის პროცესი საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს, გამონაკლის შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით. მისი შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით სიტუაცია გაუარესდა სიის დაკომპლექტების პროცესში ჩართულობაზე საუბრისას პოლიტიკაბჭოს წევრი ენმ-დან (რესპონდენტი N3) კულუარული გადაწყვეტილებების მანკიერ პრაქტიკაზე მიანიშნებს: „სიის

ფორმირებაზე არ მიმიწვდება ინფორმაცია და აქაც იგივე პრობლემაა: რამდენიმე ადამიანის კულუარული გადაწყვეტილებები! მიუხედავად იმისა, რომ პოლიტსაბჭოს წევრი ვარ, საკვანძო გადაწყვეტილებების შესახებ სიახლეებს ვვებულობ მედიიდან“. შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით პოზიტიურ გამოცდილებად რესპოდენტი N3 ასახელებს 2017 წლის ყრილობას, თუმცა, მისივე თქმით, „ის თეზისები და ის გადაწყვეტილება, რომლის გამოც ჩავატარეთ ეს ყრილობა და შიდა არჩევნები, დარჩა მხოლოდ ქალალდზე. არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად, მაგრამ სამოქმედო გეგმა, რომელიც ქალალდზეა დატანილი იყო „მკვდრადშობილი“.

შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთ ხელისშემსლელ ფაქტორად რესპოდენტების მიერ დასახელებულია პარტიების დაფინანსების არსებული მოდელი, როცა შემომწირველი და დაფინანსების წყარო ერთი ან რამდენიმე ადამიანია, რომელიც მმართველ რგოლში არიან. „ლელოს“ წარმომადგენლის (რესპოდენტი N8) აზრით, ეს შიდაპარტიულ დემოკრატიაზე უარყოფითად აისახება და საჭიროა დაფინანსების ისეთ მოდელზე გადასვლა, რომელიც ადამიანების ფართო თანამონაწილობას გულისხმობს მიმდინარე პროცესებში.

შიდაპარტიული დემოკრატიის პროცესის აღწერისას ყურადღება გამახვილებულია იმ ისტორიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც პარტიებს აქვთ. რესპოდენტი N10 ამაში გულისხმობს ლიდერების ცვლილების და განვითარების ტრადიციის უქონლობას, წინასაარჩევნოდ პარტიების შექმნის პრაქტიკას. სხვა პარტიების შეფასებისას რესპოდენტი (N10) ამბობს: „ჩვენ გვყავს პარტიები, რომლებიც წინასაარჩევნოდ იქმნება და არჩევნების მერე ქრება. ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც გადარჩა ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ, უკვე

ოპოზიციაშიც, ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა. პრობლემაა ისიც, რომ ცოტა პარტიას აქვს ხანგრძლივი ისტორია“.

### 3.1.3. ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ჩართულობა

გამოკითხვაზე დაყრდნობით, ჩართულობა და ჯანსაღი კონკურენტული გარემო შიდაპარტიული დემოკრატიის ერთერთ სუსტ როლს წარმოადგენს. ჩართულობასთან დაკავშირებით კონტრასტულმა კითხვებმა მეტად გამოკვეთა ჩართულობის და კონკურენტული გარემოს ნაკლებობა.

ვებანკეტირებით გამოკითხული რესპონდენტების 94%-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანია პოლიტიკური გაერთიანების შიგნით ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობა. მთავარ პრობლემად დასახელებულია ის, რომ ახალგაზრდებს გზა აქვთ ჩაკეტილი და გადაწყვეტილებები კულუარულად მიიღება. რესპონდენტი N3 ამას ხსნის ლიდერების მიერ ძალაუფლების შენარჩუნების სურვილით და „ეს მაშინ, როდესაც ახალი თაობა ბევრად უფრო ჯანსაღია და სწორედ მათ შეუძლიათ უფრო ღია, დემოკრატიული და საჯარო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ქვეყანასაც გამოადგება და საზოგადოებასაც“. რესპონდენტი N5-ის აზრით, პარტიებში არაჯანსაღი კონკურენციაა და ამ მიმართულებით მდგომარეობა ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუარესდა.

რესპონდენტების აზრით, ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად უნდა ტარდებოდეს შიდაპარტიული არჩევნები და ამ თვალსაზრისით საქართველოში არცთუ პოზიტიური გამოცდილებაა.

კითხვარში, ღია კითხვებზე პასუხებში სისტემატურად ჩანს მოთხოვნა და სურვილი გადაწყვეტილების პროცესებში მეტი ჩართულობის, ურთიერთპატივისცემისა და განსხვავებული აზრის მოსმენის სურვილის ხაზგასმით. გამოკითხულთა 60 % თვლის, რომ საერთოდ არაა ჩართული ან ნაკლებადაა ჩართული შიდაპარტიული მართვის პროცესში მაგ: საარჩევნო სიის ფორმირება, მმართველი ორგანოების არჩევა და მათი არჩევის წესის დადგენა, ფინანსური გამჭვირვალობა და სხვ. საინტერესოა სწორედ ის, რომ რესპონდენტების მხრიდან ჩართულობის მოთხოვნა გულისხმობს არა პარტიული, რუტინული დავალებების შესრულებაში მონაწილეობას, არამედ შიდაკონკურენციის გაძლიერებას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობას.

უშუალოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩართულობასთან დაკავშირებულ ღია კითხვას: იმ შემთხვევაში, თუ ჩართული ხართ პარტიის საქმიანობაში, ამ ეტაპზე, რა პროცედურებს გადიხართ პარტიაში (მაგ: საარჩევნო სიის ფორმირებისთვის)? უპასუხა მხოლოდ 46-მა რესპონდენტმა (რაც გამოკითხულთა 25 %-ია). ამათგან, ნახევარზე მეტის ჩართულობა გამოიხატება არა გადაწყვეტილების მიღების ნაწილში, არამედ ტექნიკური დავალების შესრულებაში, მაგ: აგიტაცია, მხარდამჭერთა მობილიზაცია და მათთან კომუნიკაცია, სიებზე ტექნიკური მუშაობა (ხარვეზების აღმოფხვრა), კარდაკარი, საარჩევნო შტაბში მუშაობა.

სიღრმისეულ ინტერვიუში „გირჩის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პარტიაში პოზიტიური ცვლილებები და იდეოლოგიური იდენტობის ფორმულირება განაპირობა სწორედ მხარდამჭერების ჩართულობის გაზრდამ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს (რესპონდენტი N2) კი ჩართულობის მაგალითად მოჰყავს ისევ 2017 წელს ჩატარე-

ბული ყრილობა. მისი განმარტებით, მიზეზი, რომელმაც შიდაპარტიული დემოკრატიის ჯანსაღი მოთხოვნა გააჩინა, იყო პარტიის წევრების და მხარდამჭერების გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობის სიმწირე, კულუარული გადაწყვეტილებები, არაინფორმირებულობა, რამაც საბოლოოდ უკმაყოფილება გამოიწვია. მისი შეფასებით, პარტიიდან ერთი ჯგუფის გამოყოფის შემდეგ ვითარება ნაწილობრივ გამოსწორდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. რაც შეეხება ამჟამინდელ შეფასებას, ის განმარტავს, რომ „იმ რთულ ვითარებაში, რაშიც ნაციონალური მოძრაობა იმყოფება (დევნა, შანტაჟი, დაკითხვებზე დაპარებული უამრავი წევრი), არ რჩება ბევრი დრო, რომ იფიქრო ამ საკითხების გამოსწორებაზე და შიდაპარტიულ დემოკრატიაზე“. ინტერვიუს მსვლელობისას რესპონდენტი N2 არაერთხელ ახსენებს 2017 წლის ყრილობას და მიიჩნევს, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის დასამახსოვრებელი პროცედურებიდან, რომელიც პოზიტიური გამოცდილებით ხასიათდებოდა, იყო სწორედ ეს ყრილობა, რომელმაც დაკომპლექტა ახალი პოლიტიკაბჭო.

რესპონდენტი N7-ის აზრით, შიდაპარტიულ პროცესებში მეტი ჩართულობა პოლიტიკისადმი ინტერესსაც გაზრდის. ყველაფერ ამას კი, რესპონდენტი N1-ის აზრით, ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე პროცესი და ჯანსაღი კონკურენცია.

გამოკითხვის მიხედვით, შიდაპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა და ჩართულობა მინიმალურია, გამოკითხულთა 89% თვლის, რომ იმ პარტიაში, რომელიც ყველაზე ახლოსაა მათ შეხედულებებთან, უნდა ტარდებოდეს შიდაპარტიული არჩევნები (მაგ: პოლიტიკასაბჭოს წევრების, თავმჯდომარეების, საარჩევნო სიის დაკომპლექტებისა და სხვა მიზნით). პასუხებიდან ჩანს, რომ ამგვარ შიდაპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა

გამოკითხულთა 33 პროცენტს ( $N=61$ ) აქვს მიღებული. აქედან 50 რესპონდენტი ამბობს, რომ ამგვარ პროცესებში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ რამდენჯერმე (1-დან 5-მდე) და ეს არაა პარტიული საქმიანობის და ჩართულობის დამკვიდრებული პრაქტიკა. არის შემთხვევა, როცა 15-წლიანი პარტიის წევრობის შემდეგ რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საერთოდ არც იცის, მიუღია თუ არა ასეთ პროცედურებში მონაწილეობა.

ამ ეტაპზე არსებული შიდაპარტიული არჩევნების პროცედურები არაა სრულყოფილი და ის დროთა განმავლობაში უნდა დაიხვეწოს. მნიშვნელოვანია, რომ პარტიის შიდა არჩევნები ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ტარდებოდეს. რესპონდენტი N9 განმარტავს, რომ „სწორედ კონკურენციის პირობებში ჩნდება საუკეთესო გზა და საუკეთესო კადრები“.

გამოკითხვიდან და ინტერვიუებიდან მიღებული შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ ჯანსაღი კონკურენტული გარემო და პოლიტიკური პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებში ჩართულობა პარტიიების წევრთა და მხარდამჭერთა პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, თუმცა მოცემულ რეალობაში მსგავსი სურვილების განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმები ჯერჯერობით არ არსებობს.

### **3.1.4. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება**

რესპონდენტების აზრით, პოლიტიკოსები ანგარიშვალდებულებასა და პასუხიმგებლობას გრძნობენ მსხვილი დამფინანსებლისა და შემომწირველის წინაშე და არა ამომრჩევლის მიმართ.

რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს მხარდამჭერების მხრიდან გავლენის ბერკეტი პოლიტიკოსებზე. ამ

ბერკეტის შექმნის შესაძლებლობას ხედავენ პარტიების ფინანსურ დამოუკიდებლობაში. მათ სურთ, რომ პარტიებში არსებობდეს გადაწყვეტილების მიმღები მრავალზევრიანი ორგანოები, რომლებიც რეალურად შეასრულებენ საკუთარ ფუნქციებს.

გამოკითხულთა აზრით, დანიშნული (და არა არჩეული) პარტიული თანამდებობის პირები ნაკლებ ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას გრძნობენ „grassroot“ ამომრჩევლის მიმართ. ამასთან, პარტიაში ინსტიტუციონალიზაციის დეფიციტია და შიდაპარტიული დემოკრატიის გამართულად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია დაინერგოს ჰორიზონტულური მართვის სისტემა, ჩამოყალიბდეს გამართული პარტიული სტრუქტურა, სადაც გაინერება, თუ როგორ შეუძლია ადამიანს კარიერული წინსვლა.

სწორედ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულების კომპონენტის სისუსტეს გამოხატავს პასუხი კონტრასტულ კითხვაზე „არჩევნებზე დამარცხების შემთხვევაში, უნდა აყენებდეს თუ არა პარტია მმართველი ორგანოსა და ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხს?..“. ამ შეკითხვას უპასუხა 167-მა რესპონდენტმა და აქედან 43-მა აღნიშნა, რომ არ იცის. 51 %-ის ( $N=85$ ) პასუხია „დიახ“ და მხოლოდ 23 % ( $N=39$ ) არის ამის წინააღმდეგი.

გამოკითხულთა 98% ( $N=179$ ) აღნიშნავს, რომ უნდა ანალიზდებოდეს არჩევნების შედეგები. ამასთან, ასეთ განხილვებში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ 30%-ს ( $N=55$ ). როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, არჩევნების შედეგების ანალიზის მოთხოვნა ძალიან მაღალია. მეორე მხრივ, აშკარად იკვეთება არჩევნების შედეგების განმხილველი შეკრებებისა და ანალიზის ნაკლებობა ლიდერებსა და პარტიის ფორმალურ მმართველ რგოლსა თუ რიგით წევრებს შორის. აქვე ხაზგასასმელია, რომ ჭარბობს მათი რაოდენობა, ვინც პასუხისმგებლობას ლიდერსა და მმართველ

ორგანოს დააკისრებდა. როგორც ჩანს, ამგვარი განხილვების, ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის გაძლიერება, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ, პარტიებში შესაძლოა, ხელმძღვანელი რგოლების გადახალისების საშუალებად იქცეს.

არჩევნების შედეგების ანალიზთან დაკავშირებით, სიღრმი-სეული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პარტიები ან ზედაპირული ანალიზით შემოიფარგლებიან, ან პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით ამ პროცესს საერთოდ გაურბიან.

სიღრმისეული ინტერვიუები აჩვენებს, რომ არჩევნების შედეგების ანალიზის პროცედურა, რომელიც პასუხისმგებლობების გამოკვეთის ერთ-ერთი საშუალებაა, სუსტადაა დანერგილი და უბნებზე მიღებული შედეგების ანალიზით ან არასტრუქტურირებული შეხვედრებით და საუბრებით შემოიფარგლება.

#### 4. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ დაადგინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის მკვეთრი დეფიციტია. მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ სისტემის გამჭვირვალობის, კონკურენციის, ჩართულობის, წარმომადგენლობითობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტებთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებში არსებითი პრობლემებია, რაც საბოლოოდ შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

მონაცემების ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მიზნობრივი შერჩევით გამოკითხული პარტიების წევრებს და მხარდამჭერებს წარმოდგენა აქვთ შიდაპარტიული დემოკრატიის ცალკეულ კომპონენტზე, მაგრამ არა მთლიან პროცესზე, რაც აიხსნება ჩართულობისა და გამჭვირვალობის დაბალი ხარისხით, არაინფორმირებულობითა და სხვა ფაქტორებით. ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც ნაკლებდ არიან ჩართულნი, მათი პარტიული საქმიანობა კი ძირითადად ტექნიკური ხასიათის დავალებების შესრულებით შემოიფარგლება. პარტიათა ლიდერებზე ზედმეტად დამოკიდებულება, კონკრეტული ლიდერების თუ ლიდერთა ჯგუფის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზება, ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ფინანსური გამჭვირვალობის დეფიციტი, პასუხისმგებლობისა და ანგა-

რიშვალდებულების ნაკლებობა – ის საკითხებია, რომლებიც საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის ნაკლებობას განაპირობებს. ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია პარტიებში ისეთი მექანიზმების არარსებობა, რომლებიც რიგით წევრებს პერიოდული სისტემატურობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართავდა.

შიდაპარტიული დემოკრატიის მაჩვენებელ საკვანძო პროცესად რესპონდენტები ასახელებენ სიის შედგენის პროცედურას. მათი შეფასებები ამ ნაწილში მეტნილად ძალიან კრიტიკულია და შიდაპარტიული პროცესები მათთვის უფრო ავტორიტარულ, ელიტურ-კლანურ მმართველობასთანაა ახლოს, ვიდრე დემოკრატიულთან.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების გამოკითხული წევრები და მხარდამჭერები შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას ისურვებდნენ და ამ თვალსაზრისით დღეს არსებული რეალობა მათ მოლოდინებს არ შეესაბამება. ამაზე ღია, კონტრასტულ კითხვებში რესპონდენტების მიერ დაფიქსირებული პასუხების თვისებრივი ანალიზი მიანიშნებს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მიზნობრივ აუდიტორიასთან (პარტიის მხარდამჭერებსა და წევრებთან) წვდომის-თვის სასურველია ჩატარდეს შემდგომი კვლევები. ამგვარად, უფრო ზუსტად გამოიკვეთება შიდაპარტიული დემოკრატიის ნაკლებობის გამომწვევი და მისი გაძლიერების კონკრეტული მექანიზმები.

საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატია კომპლექსურად გამოუკვლეველი საკითხია. ამ მიმართულებით ქვეყანაში აკადემიური საქმიანობის მკვეთრი დეფიციტია, რაც პირდაპირ აისახება მოქალაქეთა ინფორმირებულობის და-

ბალ დონესა და იმაზე, რომ საკითხი ნაკლებად ექცევა პარტიული და სამოქალაქო ორგანიზაციების ყურადღების ქვეშ. ამ ეტაპზე, კვლევის მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს, პოლიტიკურმა პარტიებმა ადეკვატურად შეაფასონ შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი და მოახდინონ პრობლემების იდენტიფიკაცია. თავის მხრივ, საქართველოში არსებულმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა, პროფილურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევას უფრო მეტი რესურსი დაუთმონ, რათა ამაღლდეს მოქალაქეთა ინფორმირებულობა და მოხერხდეს საკითხის აქტუალიზაცია.

## პიპლიოგრაფია

### ქართულენოვანი ლიტერატურა:

ბარქაია ზ., კვაშილავაძე, გოგოლაძენ., ქობალიაი., ჩხიცემაძე ი. „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, მეორე გამოცემა, 2020, თბილისი, ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი;

ბარქაია ზ. & კვაშილავა ბ. „საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამების განვითარება (2008-2016 წწ.), 2020, თბილისი, ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი;

კვაშილავა ბ. „საარჩევნო სისტემები და მათი გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე საქართველოში“, 2020, თბილისი, ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი;

ნოდია გ. & სქოლტბახი ა. „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, 2006, თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

### ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

Aylot N. & Bolin N. „Managed Intra-party Democracy: Precursory Delegation and Party Leader Selection, 2015, Stockholm, Stockholm University Press;

Berge V.D., Poguntke B, Obert P, Tipei D. „Measuring Intra-Party Democracy“, 2013, New York City, Springer Publishing;

- Borz G. & Janda K. „Contemporary Trends in Party Organization: Revisiting Intra-Party Democracy“, 2017, London, Party Politics;
- Ceron A. „Leaders, Factions and the Game of Intra-party Politics“, First Edition, London, Routledge Publishing;
- Close C, Kelbel C, Van Haute E. „What Citizens Want in Terms of Intra-Party Democracy: Popular Attitudes towards Alternative Candidate Selection Procedures“, 2017, London, Political Studies;
- Cross W. & Pilet J.M. „The Politics of Party Leadership: A Cross-National Perspective (Comparative Politics)“, Oxford, Oxford University Press;
- Gauja A. „Enforcing democracy? Towards a Regulatory Regime for the Implementation of Intra-party Democracy“, 2006, Sydney, Sydney University Press;
- Geer J.G. „Politicians and Party Politics“, 2018, Baltimore, Johns Hopkins University Press;
- Gherghina S. „Party Leaders in Eastern Europe: Personality, Behavior and Consequences“, 2019, London, Palgrave Macmillan;
- Giannetti D. & Benoit K. „Intra-Party Politics and Coalition Governments“, 2016, London, Routledge Publishing;
- Grimwood Z. „Intra-Party Democracy (IPD): The Regulation of South African Political Parties and Exploring Its Criteria“, 2019, Berlin, Heinrich Boell Foundation;
- Grotz F. & Weber T. „Party Systems and Government Stability in Central and Eastern Europe“, 2012, Cambridge, Cambridge University Press;
- Haywood A. „Politics“, 2013, Fourth Edition, London, Palgrave Macmillan;
- Hazan R. Y. & Rahat G. „Democracy Within Parties: Candidate Selection Methods and Their Political Consequences“, 2010, Oxford, Oxford University Press;

Hofmeister W. & Grabow K. „Political Parties: Functions and Organisation in Democratic Societies“, 2011, Berlin, Konrad Adenauer Stiftung;

Ignazi P. „The Four Knights of Intra-Party Democracy: A rescue for Party Delegitimation“, 2018, London, Party Politics;

Jennings I. „Party Politics“, First Edition, 2010, Cambridge, Cambridge University Press;

Katz R.S. & Crotty W.J. „Handbook of Party Politics“, 2005, California, Sage Publications;

Katz R.S. & Mair P. „Changing Models of Party Organization and Party Democracy: The Emergence of Cartel Party“, 1995, California, Sage Publishing;

Katz R.S. & Mair P. „Democracy and the Cartelization of Political Parties (Comparative Politics), 2018, Oxford, Oxford University Press;

Michels R. „Zur Soziologie des Parteiwesens in der modernen Demokratie; Untersuchungen über die oligarchischen Tendenzen des Gruppenlebens“, 1911, Cologne, Werner Klinkhardt Verlag;

Müller W. C. & Narud H.M. „Party Governance and Party Democracy“, 2013, New York City, Springer Publications;

Norris P. & Lovenduski K. „Why Parties Fail to Learn: Electoral Defeat, Selective Perception and British Party Politics“, 2004, Cambridge, Harvard University Press;

Pilet J.B. & Cross W. „The Selection of Political Party Leaders in Contemporary Parliamentary Democracies“, 2013, London, Routledge Publications;

Sagar D.J. „Political Parties of the World“, 7<sup>th</sup> edition, 2009, New York City, John Harper Publishing;

Sartori G. „Parties and Party Systems“, 1976, Cambridge, Cambridge University Press;

Scarrows S. „Political Parties and Democracy in Theoretical and Practical Perspectives: Implementing Intra-Party Democracy“, 2005, Washington, D.C., National Democratic Institute;

Shlager N. & Weisblatt J. „World Encyclopedia of Political Systems and Parties“, 4<sup>th</sup> Edition, 2006, New York City, Infobase Publishing;

Tsutskiridze L. „Intra-Party Democracy: A Pathway for Political Renewal“, 2018, Tbilisi, Eastern European Centre for Multiparty Democracy;

Zudenkova G. „A Rationale for Intra-Party Democracy“, 2014, Mannheim, University of Mannheim Press.

